# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 269. ხუთშაბათი, 11 ნოემბერი 1904 წ. გაზეთის № 2669.



**ხელის მოწერა 1905 წლისათვის.**

ყოველ დღიური გაზეთი

წელიწადი **„ცნობის ფურცელი"** მეათე

სურათებიანი დამატებით.

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: **ერთის წლით 6 მანეთი.** ‖ საზღვარ გარეთ: **ერთის წლით 9 მანეთი.**

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

წელიწადი **„მოამბე"** მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. ‖ საზღვარ გარეთ: 1 წლით—13 მ., ცალკე № 1მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"

**უფასოდ გაეგზავნება**

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

**„დონ-კიხოტი"**

**დორეს სურათებით.**

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ

**ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.**

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

**„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"**

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".


## წერილი მეგობრებთან

გაფრინდი, ფიქრო, სალამი
მეგობრებს მიე გულისა,
უთხარ, თან გამყვა იმედი
იმათი სიყვარულისა.

—

შემოდგომაა... წვიმა სცრის
ნისლი გაკრულა მთაზედა,
ქარი ხან სალ კლდეს დაჰქროლავს,
ხან გაიჭრება განზედა
ფოთოლი ცვივა... ტყე გმინავს,
ველზე ჩამჭკნარა ყვავილი,
ბულბულს ხმა ჩაუწყვეტია,
ისმის ყორნების ჩხავილი!
გაფრინდი, ფიქრო, მეგობრებს
მიეცი ჩემი სალამი,
უამბე—შემოდგომამა
როგორ გაშალა ალამი!

—

არ ვიცი, რათა წყვდიადში
განთიადს რისთვის ვიგონებ
და ამ სევდიანს ღამეში
მით უფრო გულსა ვილონებ.
ხანდისხან კიდეც იელვებს,
ვით გაზაფხულის პირზედა,
თითქოს დემონი იცინის
ქვეყნის ცრემლსა და ჭირზედა!
თან იდუმალი ხმა მესმის
წკრიალა ნაკადულისა
და მაგონდება მე სისხლი
ტანჯულ მეგობართ გულისა!
გაფრინდი, ფიქრო, შენ ცოცხლებს
მიეცი ჩემი სალამი,
უამბე, შემოდგომამა
როგორ გაშალა ალამი!

—

ცაზე ვარსკვლავი არა სჩანს,
მთვარეც ჩასულა ღრუბელში,
მხოლოდ ბნელს შეუხვევია
სამშობლო თავის უბეში,
და კაეშანის ცრემლებში.
ვით ლომი გალვიძებული,
ქარი დაღმუის მთა-ბარში,
დაღმუის გამწარებული!

—

გაფრინდი, ფიქრო, სალამი—
მეგობრებს სიყვარულისა,
უთხარ, რო გამოიღვიძოს
იმედმა გაზაფხულისა!

ი. ევდოშვილი.



ლიაოიანის ბრძოლა. შექა-გრგვინვა ციდან და იაპონელთა ბანაკიდან.

# ამბავი

მაქსიმ გორკისა*)

ასე გათავდა ჩვენი ერთად ცხოვრება. ის წავიდა, მე-კი დავრჩი მარტოდ-მარტო. არა ვტიროდი, არც მეტირებოდა. დავლიე ორი ჭიქა არაყი, რომ ჯავრი მომეკლა. მთვრალი არ ვიყავ, მაგრამ არ ვიცი, რა მომდიოდა. ღამე, როგორც იქნა, გავიდა. ვიცოდი, სად და როდის იყო ჯვრის წერა. მაგრამ არ წავედი, მეშინოდა, სისულელე არა ჩამედინა რა. პირველ დღეს ძალიან ვიტანჯებოდი, საღამოს ნაცნობებთან წაველ გასართობად. იმათაც კარგად, თანაგრძნობით მიმიღეს და წასვლისას სახლისაკენ გამაცილეს. ჩემი ბედი ძალიან აწუხებდათ იმათ. მივუახლოვდი თუ არა ჩემს ბინას, დავინახე ის თავის ახალგაზდა ცოლით. მაშინვე გული შემიღონდა და წავიქეცი. გავხდი ავად და სამ თვეს ლოგინიდან არ ავმდგარვარ.

გადავრჩი თუ არა ავადმყოფობას, დავიწყე განმარტოებულად ცხოვრება. ხალხს რაღაც ვერიდებოდი, ვერიდებოდი უფრო იმას, მეშინოდა იმისი შეხვედრა. ჩემს თავს სრულებით ყურადღებას აღარ ვაქცევდი. თუ რამე გამაჩნდა, სულ სხვებს ვთავაზობდი. თუმცა არც წინად ვუჭერდი ვისმეს უკანასკნელ გროშს, მაგრამ ეხლა ისე ვიქცეოდი, თითქოს ცალი ფეხი სამარეში მედგა, თითქოს საიქიოსთვის ვემზადებოდი. ერთის სიტყვით, თვითონ არ ვიცოდი, რას ჩავდიოდი. სნეულებამ საშინლად ამიშალა ნერვები. ხშირად ბედი მემუქრებოდა სრულიად დაღუპვას, მარამ მე არ დავღუპულვარ, მხოლოდ ხელში ჩავუარდი ერთ თავზე ხელ-აღებულ ვაჟბატონს, რომლის წყალობითაც ცარიელი კედლები და ვალი



იაპონელთა პოზიციებზე ექიმთა რაზმები ჭრილობებს უხვევენ დაჭრილთ

შემრჩა, თვითონ კი გაჰქრა სადღაც. ჩემი ბრალია, რათ ვენდე?! საჩივარი აღარ დამიწყია, სულ ერთია,—ვფიქრობდი,—

*) იხ. „დამატება" № 267, 1904 წ

*
* *

სად შემიძლია მოვიპოვო ნავთ-საყუდელი,
რომ დამშვიდების ჩემმა ხვედრმა მომცეს მე ნება?
მარად ნაღველი შხამ-ნარევი, სულთ-შემხუთველი...
თვით სატრფოს მკერდიც დღეს ცივ ლოდად მომეჩვენება!..

—

ოჰ, სატრფოვ, სატრფოვ!—ყურში წივის ეგ ნაზი ბგერა! —
სად ხარ ნამდვილად? ოცნებაში?—ცხადად ვერ გპოვე,
მსურდა მომენდო საიდუმლო—ამ გულის ძგერა—
და განა მიტომ ხელი მკარი და მიმატოვე?!..

—

ისევ მოგმართავ, მოდუდუნე ცელქო მთის შვილო,
გეტყობა, ბარად შენცა, უტყვო, მოგიწყენია!
იქ მოკისკასევ, აქ კი რაღაც გულ-ჩათხრობილო,
ბარის ღრუბელი სევდის ზეწრად გადაგფენია!..

—

მდინარევ ჩემო, შენ მოგანდობ ჩემ საიდუმლოს,
შენ ეაკვანე, განუსვენე ჩემს გულის ნადებს...
დე წყლულმა მკერდით შენს ნაპირზე კვლავ დაიღმუვოს
ნაცვლად იმისა, მდუმარე ცას რომ შეღაღადებს!..

—

ჩუ, ჩუ მღელვარევ!—გესმის გმინვა შენს ნაპირებზე?
იხილე—ოფლი სისხლ-შერევით ჩამონადენი...
ვით დაიჩრდილა თანაბარად მოციმციმე მზე!..
ვით დაითმინოს ბეჩავ გულმა კვნესა ამდენი?!..

—

შენ მიჰქრი, მიჰქრი რაღაც წყრომით და გაფიცხებით!
მო, ერთი ტალღა მეც გადმომკარ თანაგრძნობითა,
რომ შენს ჭევლთ შორის მეც შევცურდე თავ-დავიწყებით
და მეც თან წაგყვე ძხარ-გაშლილი მკერდ-მოყრდნობითა!..

—

წაგყვე იქ, სადაც შენ ისწრაფი გამალებული,
რომ დასასრული შენსას ჩემი მით შევუერთო...
მაგრამ ჯერ ტანჯულს მსურს მოვბანო თვალი ნამული
და ამისათვის ძალას ვეძებ, ძალას... ჰე, ღმერთო!..

დ. თომაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილასთვის ან რალასთვის არის საჭირო ჩემი სიცოცხლე, რა არის ამ სიცოცხლის აზრი?

**ადამიანის რწმენა, მისი ნდობა აღარა მაქვს, და განა შეიძლება უამისოდ ცხოვრება? — არა! და ამიტომაც კარგა ხანია, რაც გადავწყვიტე თავის მოკვლა.** ბავშვობიდანვე დატანჯული, დედის ალერსს მოკლებული, მუდმივ შრომისაგან მოწყვეტილი, უნუგეშო სიყვარული და მომავალზე ყოველსავე იმედს მოკლებული. უსიამოვნება, სილარიბე, ათასგვარი დამცირება სანამდის არ მიიყვანს ადამიანს და მეტადრე ქალს! იქნებ მე სუსტი ხასიათისა ვარ, მაგრამ შეიძლება განა, კაცს ასეთ უკუღმართ ცხოვრების პირობებში უფრო მტკიცე ხასიათი ჰქონდეს?! პირად კმაყოფილებისათვის მე ერთს წელიწადსაც არ მიცხოვრია; ერთ წუთს მოსვენება არა მქონია, მუდამ შიშში ვატარებდი დროს, არ მახსოვს ოდნავ სიამოვნებაც... არა, აღარა ღირს სიცოცხლე! აი ესღა დამრჩენია და ჯერ კი არ გადამიწყვეტია.

ეხლა მე ისევ ღვთის ანაბარადა ვარ, უსაშუალოდ დავრჩი აღდგომის წინადღეებში და ეს სულ იმ ვაჟბატონის წყალობით. რა ვქნა! რასაკვირველია, მირჩიეს საროსკიპოში შესვლა, მაგრამ არ დავთანხმდი, პირ-იქით ორი ქალი გამოვიხსენი იქიდან. მე აშკარად არა ვარ ზნეობით დაცემული, მაგრამ მაინც ისა ვარ... მაინც ვერ ავცდი გარყვნილებას. უნდა მეცხოვრა, ვალები უნდა გადამეხადა და რაკი ერთხელვე ჩავარდები განსაცდელში, ძნელია თავის დახწევა. რაც შემეძლო, თავს ვიჭერდი, ერთ წელიწადსაც არ გამიტარებია ამ საშინელს გზაზე; თუ როდისმე ჩამითრევდნენ ხოლმე, პატიოსან შრომას მაინც არ ვანებებდი თავს.



პორტ-არტურის სიმაგრეზე

დიახ, მე სინიდისი არ დამკარგვია სრულად და ამიტომ გარყვნილების გზაზედაც ბედი არ მწყალობდა. მუდამ მატყუებდნენ. იყვნენ პატივის მცემლებიც, მაგრამ ძალიან ცოტა. ყველა მზად არის სასაცილოდ აგიგდოს, დაგამციროს, შეურაცხყოს, მოგისპოს კარგი იმედები. თითქმის რჩევას გაძლევენ, გაჭივრების დროს ხელს გიმართავენ, მაგრამ ამავე დროს ტალახში გსვრიან. ან კი ვინ გაგიწევს, დახმარებას ისე, რომ სასყიდლად შენი სული და გული, შენი სხეული არ გამოგართვას. არა, ათასში ერთი იქნება ასეთი გულ-შემატკივარი; უმრავლესობა კი ნიღაბ-ჩამოფარებული სცხოვრობს მარტო თავისთვის და თავის სურვილებისათვის. ერთი კი არა, ათასობით ქალი მიჰყავთ მათ გარყვნილების გზაზე. იქ, სადაც საჭიროა ქალისათვის ხელის გამართვა, ღალატობენ, და მე ყოველივე ამის გამომცდელი არ ვამტყუნებ არც ერთ ქალს. ყველა ხომ ვერ გაუმკლავდება გაჭირვებას, შიმშილს, სილატაკეს. ზოგი დედისაგან ითმენს გაჭირვებას, ზოგი გარეშე პირებისაგან. იმათ მიჰყავთ ქალი გარყვნილებისაკენ და არა ფიქრობენ, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას. ისინი არა ფიქრობენ, თუ რა რიგად იღუპება ახალგაზდა ქალი. შეხედეთ ასეთ ქალს. ის პირადად არას იმჩნევს, თუმცა ცხოვრება გამწარებული აქვს. ის მშიერია, შენგან საჭმელს ელის და ამ ლოდინში სასიამოვნოთ გესაუბრება. თქვენ მოგწონთ ეს საუბარი, ყურს უგდებთ, იმას კი თვალზე ცრემლი ეგუბება, შიმშილი სულს უწუხებს.



ციხის ზარბაზნები პორტ-არტურის სიმაგრეზე

თქვენ არა გჯერათ ესა, რადგან ქალი სუფთად ჩაცმულია. მე ეს ყველაფერი ჩემ თავზე გამოვცადე და ამიტომ იმედია დაიჯერებთ, რომ მართალს ვამბობ. დაბრუნდები ბინაზე და ძალლზე უარესად გექცევიან, გდევნიან, დაგცინიან... არა, აღარ შემიძლიან ასე ცხოვრება! სულ ერთია, მე სილატაკის მეტი არა გამაჩნია რა, ჯანმრთელობაც დავკარგე. ყველაფერი შემძაგდა, მომბეზრდა. არ გამაჩნია მეგობარი, არც ქალი, არც კაცი, აღარავინა მყავს თანამგრძნობელი, მხარის დამჭერი. მე მხოლოდ მაშინ ვსჭირივარ კაცს, მარტო მაშინ მაფასებენ, როცა გამაჩნია რამე, ან თუ ვნებათა ღელვის დასაკმაყოფილებლად ვინმე ხელს გამიმართავს; მაგრამ მრჩეველი არავინ გამიჩნდა, თავის მოკვლისაგან არავინ გამომიხსნა, და მეც მოვიწამლე თავი.

ვინ გამამტყუნებს მე და საზოგადოდ ჩემისთანებს?

დაუკვირდით, მკითხველო, ამ ქალის ნაამბობს. ჩაიხედეთ იმის გულში. რა გულწრფელად, როგორ პირდაპირ ლაპარაკობს შეხედეთ, რა რიგად უყვარს ბავშვები... ერთი ნათლული არ უყვარს, ამაზე შეეძლო ხმაც არ ამოეღო, მაგრამ იგი არაფერს მალავს. ყოველსავე იმის სიტყვაში გულწრფელობა ისმის. მაგრამ ამ ნაამბობში, ჩვენის აზრით არის



ზარბაზნები პორტ-არტურის სიმაგრეზე და საფარი

ერთი ცრუ ადგილიც. ასეთ სიცრუეთ მიგვაჩნია იმისაგან აწერილი სურათი ბალში აკადემიელ სტუდენტისა და რევო-

ლვერის შესახებ. ვგონებ, ეს მოგონილია და მისგანვე დაჯერებული. მაგრამ ეს სიცრუე კარგი რამ არის. ხშირად სიცრუე მართალზე უკეთესად გვაცნობს ადამიანს.

ასეთი სიცრუე იმით აიხსნება, რომ ყოველსავე ადამიანს შესისხლ-ხორცებული აქვს სურვილი რაიმე კარგის საქმისა, ნამდვილ ადამიანურ მოქმედებისა. უკუღმართ ცხოვრების პირობები ადამიანს ნებას არ აძლევენ ასეთი კარგი საქმის ასრულებისას და ამიტომ ის კმაყოფილია მოგონებით.

ქალური, ადამიანური სირცხვილი კიდევ არ დაჰკარგვია ამ ახალგაზდა ქალს. ის გვიამბობს თავის მგზავრობას ვაგონში აფიცერთან ერთად და აი რას ჰყვება სხვათა შორის: „ის აფიცერი გულკეთილი იყო, ჩემის დაჩაგრულ მდგომარეობით არა სარგებლობდაო... ერთი კვირა დავყავით გზაშიო. და აქ წერტილებს სვამს... ადვილი გასაგებია, რომ ეს წერტილები იმის მწარე ცრემლების, სირცხვილის მაგიერია.

„ის პატიოსანი ადამიანი იყო, არ სარგებლობდა ჩემ დაჩაგრულ მდგომარეობით... მაგრამ მე გროში არ მებადა... მე შიმშილისაგა ––-მიხდილი ვიყავი“.

კაცი ვერ მიმხვდარა, რომ მშიერ ალისათვის ლუკმა პური მიეწოდებინა. ალბად არც სირცხვილი, არც სინდისი მას არა ჰქონია და იმისი სხეული ერთი მანეთის გულისათვის სასყიდლად აუღია, ერთი მანეთის გულისათვის, რომელიც მას პურისთვის სჭიროდა.

აქ ის პურის გულისათვის ჰყიდის თავს, შემდეგ ვიღაც ვაჟბატონის გემოვნების დასაკმაყოფილებლად... რასაკვირველია, ის ხშირად იყიდებოდა „ისე“, ტყვილა-უბრალოდ.

უფრო ხშირად კი, კარგად ვიცი, ის ისვრებოდა ტალახში ცხოვრებისაგან ძალდატანებით. ცხოვრებისაგან უკმაყოფილობა,—ეს ისეთი საშინელი ძალაა, რომელიც ღუპავს ადამიანს. მეტადრე სუსტ ხასიათის ადამიანს. ეს უკმაყოფილება ადვილად ებადება ყველას გულში, ვინც ეძებს სიამოვნებას, თავისუფლებას.

ხომ გაიგონეთ, ქალი გვეკითხება: „განა შეუძლიან იცხოვროს კაცს, რწმენა—დაკარგულს?“ და თვითონვე იძლევა პასუხს: „არაო“.

შეიძლება, სწორედ იმ დროს, როცა ეს კითხვა გულს უღრღნიდა, ვინმე ჩვენგანი მას ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ეუბნებოდა: „რამ მოგაწყინა, აა? აბა ერთი გამხიარულდი... და მე კიდევ მოგიმატებ ორიოდე გროშს!“

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ კარგად ვიგრძნოთ, თუ რა რიგად ვღუპავთ ცოცხალ ადამიანს.

შეიძლება, მკითხველო, ამ ამბავზე ზიზღი მოგივიდეს და სთქვა: „რა საჭიროა ამის დაბეჭდვა! მწერლობაში სრულებით არ უნდა ჰქონდეს ადგილი ვიღაც ნამუს-ახდილ ქალებს და მათ ნაამბობსაო“.

შემცდარი ხარ, მკითხველო, ამ სიტყვების თქმისთვის. მწერლობაში ადგილი აქვს ყოველ სიმართლეს; ადგილი აქვს ასეთ ქალსაც და იმის ნაამბობსაც. ამ ქალის სახელი ბევრმა იცის, იცის იმისი ბინა ყველამ, ვინც კი ყიდულობს მას.

მწერლობაში ადგილი აქვს ყოველსავე ხმას, თუ კი გულწრფელია ეს ხმა.

**ს. დევდარიანი.**



1-ლი ქალი. რამ დაგაღონა, ხომ ხედავ უკედ არის შენი ქმარი.
2-ე ქალი. კიდეც ეგ არის მიზეზი, რომ მეც ვატყობ უკეთობას...



ქალი. ბებერო, კიდევ იჭვიანობ? თუ აგრე გიყვარვარ, სჯობია, აი ამ წამოსასხამის ვალი გადაუხადო მკერავს...

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

Доз. цен. Тифлисъ, 9 ноября 1904 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ს